



„ქართული გენია როკვით განვითარდება“

କ୍ଷେତ୍ରକାନ୍ତରୀଳିତି ଧର୍ମବିଜ୍ଞାନାତ୍ୟନ

გამოცის 1992 წლის იავრიდან

№6 (52), ლაკავარი-იანვარი

2014 -2015 წელი

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი – ეროვნული მუზეუმი – საზოგადოებრივი მუზეუმი

ოფენსიური, ხავშიური კა წარ-
დგმული ყოფილობის 2015 წელი
ჩვენი საქონო სამსახურის მიერ.



“... გამაგრდი და სძლიერ ბოროტს,
კაცი უნდა დარჩე კაცად!..”

a3. 4-5

ბრავო, მაგ!

ახალი ცნოს

ტრადიციანი საქართველოში

ა. 16

სატელევიზიო ორგანიზაციის ქახთფი,
აფხაზუნი და თსუნი ცეკვებზე

33. 8

83.3

23. 15


კავკასიუნი შექვეს ნირ – სანოტულოებით, შენ-იღეთებითა და სხვა აყვილებები

აზნიპაუზებით... გვ.2-3
(ვარდისფიტი შტაციონის თამაშები)

კავკასიუნი შეკვის წრე – სანთულებებით, შენ-ილებათებითა და სხვა აყვილებებით აზრიგულად...

ନେଇବୁକ୍ତିରୁଲିଙ୍ଗ ପାଇରଙ୍ଗେ ବୋଲିଲିଙ୍ଗ ମାରଳୀ

დასაცუსი იხ. ნინა ნომრში



აქ რამდენიმე არსებითი საკითხია გასათვალისწინებელი, მათ შორის:

1. კავებასის ხალხებს ისტორიულად ჰქონდათ და დღესაც გააჩნიათ მსგავსი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, რომლის სივრცეში მოსახლე ადამიანები ერთმანეთთან კონტაქტს იმთავითვე ამყარებდნენ მთის გონირ ბილიკებით, ძნელად გადასააღახვი გასასვლელებით, გადასასვლელებით და ა.შ. აღნიშნული გარემოს რთული ხასიათი და ხევებში მოქცეული ცალკეული თემების (ხშირად მონაცესავე, მაგრამ ჩაკეტილობის გამო ერთმანეთისაგან გაუცხოებული) ადამიანებს გარკვეულწილად დამოუკიდებლად განვითარების აუცილებლობის შეგრძნებას უყალიბებდა. სახეს აძლევდა ადამიანების ბუნებას, მათ მეპრძოლ ხასიათს, შემართულობას, ერთმანეთის მსგავს ადათ-წესებს და მთისათვის დამახასიათებელი სახელოვნებო ფორმების არსებობას.

2. კავკასიის ერთიან გეოპოლიტიკურ სამყაროდ აღქმას და იქ მიმდინარე ისტორიული პროცესების მიმსგავსებულობის იდეას თავიდანვე ჰქონდა რელიგიურ-მითოლოგიური საფანელი, რომელიც შედარებით მოვარინებით კარგად ჩამოაყალიბა XI ს-ის ცნობილმა ქართველმა საეკლესიო და საზოგადო მოღვაწემ ლეონტი მროველმა. იგი მიიჩნევდა, რომ ქართველები, სომხები, კავკასიის ალბანელები, ჩრდილო კავკასიის სივრცეში განვითნილი ხალხები ბიბლიური თარაშინოსის რვა შვილის (ქართლის, ჰა-

პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, მიმსგავსებული ადათები, ჩვევები, შერეული ოჯახების შექმნის ტრადიციები, გაძისავება-დაძმობლების, ასევე, უფროსუმცროსობის საერთო წესები, კულტურული განვითარების ურთიერთშელნევადი ტრადიციები და ა. შ.

3. ყველა ეს ფაქტორი ერთად აღებული და მის გვერდით არსებული ბევრი სხვა დეტალით თუ მოვლენა, რომელთა მთლიანი დახასიათება საგაზიოთ წერილში შეუძლებელია, ქმნიდა იმ საერთო ფონს, რომელმაც ხელი შეუწყო კულტურული ერთიანობის, კულტურის გამოვლენის ფორმებში მიმსგავსებულობის კერძო შემთხვევების გამოვლენის თავისებურებებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რეალურ ქორეოკულტურულ ყოფაში სახეზე მარტო მიმსგავსებული ნიშნები არ გვაქვს. აქ ბევრი ერთმანეთისგან თავისებურად განსხვავებული ფორმა-შინაარსის ელემენტებიც გვხვდება, რომელშიც „ქართულად ცეკვის“ ფეხნომენს ნამდვილად უჭირავს ნამყვანი ადგილი და ეს შემთხვევითი მოვლენა სრულია ადაც არ გახდავთ. როგორც ჩანს, ძირითადი მიზეზი ყველაზე ამისა იმ უძველეს კანონზომიერებაში ძეგს, რომლის მიხედვითაც ისტორიულ კავკასიაში ქართული ეთნოსის, ქართული სახელმწიფოებრიობის ნამყვანობის იდეას უკავშირდება. მკითხველს ვთხოვთ, სწორად გამიგოს, კერძოდ, აქ ლაპარაკი იმაზე კი არ რის, თითქოსდა კველაფერი, რაც ქართულია (ეთნოსი, სახელმწიფო, კულტურის ტიპი, ხელოვნებათა (ალექსანდრე დარგები...), სხვაზე უკითესი ან

ვცაღოთ გავერკვეთ სიტუაციაში. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ის-ტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალისა და სხვა სათანადო არტეფაქტების, ასევე, ენობრივი ტრადიციების ბაზაზე შექმნილი სამეცნიერო გამოკვლევების მიხედვით დადგენილია, რომ ქართული ეთნოსის ბუნებრივი განსახლებლის არეალი არის კავკასია და მისი მიმდებარე წინა აზიის ტერიტორია, მიუხედავად იმისა, რომ თერიოულად არ შეიძლება გამოვრიცხოთ, თითქოსდა, ქართველთა უშორესი

რეგიონში ცხოვრობდნენ და იქედან გადა-
მოვიდნენ ახლანდელი განსახლების არ-
ეალში (ასეთი თვალსაზრისიც არსებობს!),
სადაც მერე ნელ-ნელა ჩამოყალიბდნენ ერ-
თან ეთნოსად. ფაქტი ისაა, რომ ქართუ-
ლი სახელმწიფოებრიობა, მისი კულტურა
და ცივილიზაცია ჩვენთვის თვალმისაწვ-
დომი ეპოქების დონეზე სწორედ ზემოთ
მითითებულ რეგიონში იძენს თავის ნამდ-
ვილ სახეს. ხალხთა განსახლების ეს არეალი
მოიცავს თითქმის ყველა კლიმატურ ზონას
– ზღვისპირეთის დაბლობიდან უმაღლესი
მთების სისტემამდე. საგულისხმო და საინ-
ტერესო ისაა, რომ თითქმის ყველა ეს ზონა
დასახლებულ-განსახლებულია. სწორედ
ამიტომ ჩვენამდე მოვიდა ბარის, ზეგანის,
მთის კულტურების სახით ჩამოყალიბებული
რეალობა.

გარკვეული როლი ქართული ეთნოსის ფორმირების ცივილიზაციურ მოდელში შეასრულა მდინარეების აუზებისათვის დამახსაიათებელმა კულტურულმა ფორმათა მნადობის ფაქტორმა. ეს იყო და არის სამი დიდი მდინარის – მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზების ურთიერთგადაკვეთა. ამ მდინარეთაგან დღეობასთვის მდ. ჭოროხისაქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 25 კმ-ს ფარავს და ბათუმის სამხრეთით ერთვის შემდეგ ზღვას. ძეველი აღმოსავლეთის ქვეყნების, ასევე, ბერძნული და რომაული წყაროების მიხედვით მდინარე ჭოროხის ხეობა, თავისი შენაკადებით ქართველური წარმოშობის ტომთა განსახლების არეალს წარმოადგენდა. სწორედ აქ დაიბადა ისეთი სახელმწიფო ბრივი წარმონაქმნები, როგორიც იყო დიახონი და კოლხა. გვიან შეასუკუნებში ჭოროხის აუზი და მტკვრის ხეობის ზემო წანილი საქართველოსთვის დაიკარგა და სხვა ხალხის ხელში გადავიდა. აღნიშნულის გამო მოხდა ეთნიკური აღრევა და ქართველური წარმოშობის ხალხები ფართო განვითარების მიზანით მდინარე ჭოროხის აუზის გარეთ და მტკვრის ხეობის ზემო წანილი საქართველოსთვის დაიკარგა და სხვა ხალხის ხელში გადავიდა. აღნიშნულის გამო მოხდა ეთნიკური აღრევა და ქართველური წარმოშობის ხალხები ფაქტობრივად სხვად იქცა. მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა საკუთარი სახე და ნინაპართა მიერ წაბოძები ტრადიციები.

საქართველოს სამხრეთით მრავალი ეთნოსი დასახლდა და შეიცვალა კიდევაც. მათ შორის დღემდე შემორჩნენ სომხები. ქართველთა მეზობლად, მის აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ ალბანები სახლობდნენ, რომელთაც XI ს-დან თურქულად მოლაპარაკე ხალხები ჩაენაცვლა. სწორედ მათ მიიღეს XX ს-ის დასაწყისისათვის სახელწიდება აზერბაიჯანი. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ მდგომარეობა გაცილებით აჭრელებულია, რადგან ქართველებს ემეზობლება ათეულობით პატარ-პატარა ეთნოსის ხალხი. მათ ისე იცხოვრეს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში, რომ დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული ცივილიზაცია ვერ შექმნეს. ამის მიზეზი ისც იყო, რომ აღმოსავლეთიან და ჩრდილოეთის სტეპებიდან დაძრული ხალხების მუდმივი დაწილით ადგილობრივი ცივილიზაციები იცვლებოდა, ხოლო ხალხი მომთაბარეობდა.

აღსანიშნავია, რომ მთის რეგიონზებში განსახლებულ ქართველებს ჩრდილოეთის ტომობრივ გაერთიანებებთან ყოველთვის ჰერონდათ მჭიდრო ურთიერთობები, რაც ურთიერთზეგავლენის საფუძვლიც ხდებოდა. ხალხის მისვლა-მროსვლას, მსხველი სავაჭრო-საქარავო გზების არსებობას, ადამინური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, სამხედრო-პაპლიტიკურ დაპირისპირებებსა თუ სამეზობლო ურთიერთობებს თან სდევდა კულტურული ურთიერთზეგავლენები, ჩვეულებების გადატანა-გადმოტანა და ერთმანეთისაგან სწავლის თანამდევი ეფექტები.

ଲେଖକ ପରିମାଣ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ହେଉଥିଲା ।

საუკუნეების მანძილზე საქართველოს ნაშე-
ვანი და მიმართულების განმსაზღვრელი
პოზიციები ეჭირა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ
საქართველოზე გადიოდა ცენტრალური
საქარავნო გზები, მასვე ეჭირა ზღვაზე
გასასვლელები, სამდინარე მარშრუტები,
იყო დაწინაურებული მატალურგიისა და
მეთურეობის სფეროში, გააჩნდა შედარებით
სტაბილური პოლიტიკურ-სახელმწიფოე-
ბრივი ონსტიტუტები, ურთიერთობა, ჰერნდა
დაწინაურებული იმპერიებთან (საბერძნეთი,
რომი, სპარსეთი, თურქ-ოსმალეთი, შვიდი-
ლეისპირა კოლონიები...) აღნიშნული რეალ-
ობა მთელს კავკასიონს სულ ბოლო დრომდე
შენარჩუნდა, რაც, სამნუხაროდ, XIX და XX
საუკუნეებში რუსეთის იმპერიის, ბოლოს
კი, საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული
„ფიქრისა თუ ზრუნვის“ საგანი გახდა.

კავკასიური ეთნოსებიდან, ყველამ ვერა, მაგრამ საბედნიეროდ, საქართველომ ამგვარ „ზრუნვას“ გაუძლო და დამოუკიდებელ სახელმწიფოდაც ჩამოყალიბდა. ასეთსავე წარმატებას სამხრეთ რეგიონში მაღლიერს აზერბაიჯანელებმა და სომხებმა. სამწუხაროდ, მათ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოებრივი ყოფილათვის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები არ გააჩნდათ (სომხებმა დაკარგეს, აზერბაიჯანელმა ხალხმა კი ვერ შეემნეს) და ამიტომაც გამოკვეთილი კონტურები უფრო მოგვიანებით შეიძინეს. ეს გარემოება, ბუნებრივია, იმას არ ნიშნავს, რომ კავკასიონის ქედის გადაღმა-გადმოლმა მცხოვრები ხალხები აქ მიმდინარე კულტურულ-კივილიზაციურ პროცესებში არ მონაწილეობდნენ. ყველა მათგანი მეტნაკლები ძალისხმევით იყო ამგვარ პროცესებში ჩაბმული, თუმცა „მონაწილეობის“ ხარისხი უშუალოდ გამომდინარეობდა სახელმწიფოებრიობის ნიშნების არსებობის, ორგანიზებულობის მაჩვენებლების საერთო ხასიათიდან. სამხრეთ კავკასიაში ამ მხრივ, როგორც მრავალგზის აღინიშნა, პირველი იმდე საქართველო, ქედის ჩრდილოეთით შედარებით დანინაურებულ მდგომარეობაში ალან-ოსები იდგინენ. გარდა იმისა, რომ ალანთა სამეფოს საქმაოდ დიდი ტერიტორია ეჭირა კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ნანილში, ისინა, ასევე, აკანტროლებდნენ კავკასიის რამდენიმე ძირითად გასასვლელს, რომელთა შორისაც დარიალის კარი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

ალანთა სამეცნიეროსთან დაკავშირების, ხშირად კი დაპირისპირების პროცესი საქართველოსთვის პერმანენტულ ხასიათს ატარებდა ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან. აღნიშნულმა პროცესმა, უფრო ზუსტად ურთიერთობის მასშტაბების გაფართოებისაკენ სწრაფვის ტენდენციამ განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა XI საუკუნიდან. იმ დროისათვის უკვე არსებული და ჩამოყალიბებული ტრადიციით ამგვარი ურთიერთობებისა და გავლენის გაფართოების ტენდენციებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამეცნიერო დინასტიებს შორის დამოყვრების ფორმას. ამ მხრივ უთუოდ გამორჩეული პოლიტიკური დატვირთვის მქონე უესტი იყო გიორგი I-ის (1014-1027 წწ) და ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ) მოქმედება, რომელთა მხრიდან ოსეთთან დამოყვრებამ მართლაც სასახლით მიმდინარეობდა.

სასურველი ძეგლები გამოიღო.
კიდევ უფრო შორს წავიდა ამ მხრივ და-
ვით აღმატებელი, რადგან სამეფო კარზე
მომნითებულ იდეას საქართველოში ოთხ
ათეულ ათასზე მეტი ყიფჩალის ჩამოსახ-
ლების თაობაზე, შესაბამისი, პირადი ნაბი-
ჯიც შეაგება. იგი თავის აღმზრდელ გორ-
გი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა
და სამხედრო ამაღლის თანხლებით ოსეთს
გაემგზავრა. ადგილობრივი „მეფეები“ და
ყოველნი მთავარნი მათნი...“ სიხ-

ლეიტიც ჩააბარეს და ყივჩაბლებისკენ
გზა დაულოცეს. ცოტა ხნის შემ-
დეგ კარგად გამოჩნდა დავითის
შორისმჭვრეტელი პოლიტიკის შედეგი, კერ-
ძოდ, მას მერე, რაც მან ყივჩალთა მთავრის
ათრაქა შარალანისძის ასული გურანდუხტი
შეირთო და საქართველოში რიგითი მებრ-
ძოლი ყივჩალთა ოჯახების გადმოსახლების
საკითხიც გადაწყვიტა, პარალელურად
კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა ოსეთის
ცალკეულ სამეფო-სამთავროებთან. უკვე
ნათელი გახდა, რომ კავკასიონის ქედის
მთავარი გასასვლელ-გადასასვლელები მისი
კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ამას ხელი იმ
გარემოებამაც შეუწყო, რომ ჯერ კიდევ
აფხაზთა მეფის გიორგის (921-955 წ.) და
კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ
მისტიკოსის უდიდესი მცდელობით მთელს
ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის
მასობრივი გავრცელება უკვე დაწყებული
იყო. აღნიშნული ფაქტორის მეოხებით
ამ რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი
მკვეთრად იყო მობრუნებული ქართული
სახელმწიფოსა კინ.

ჩევნ ზემოთ ყიფჩალთა ჩამოსახლების თემა ვახსენთ. ეჭვგარეშეა, რომ თურქ-სელჩუკთა ამაოხრებელი შემოსევებით და-სუსტებული საქართველოსათვის, რომელიც დავითის ხელში ნელ-ნელა დგებოდა ფეხზე, აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა უაღრესად საჭომანო და სარისკო იქნებოდა. ინფორმაციის გავრცელების დღევანდელ დონეზეც კი მეტისმეტად ძნელია სრული პოლიტიკური ანალიზის გაცემება იმისა, რაც საკუთარი ქვეყნის მიღმა ტერიტორიებზე ხდება. დავით IV-მ და მისმა გარემოცვამ კი კარგად გაანალიზა შემდეგი გარემოება: ყიფჩალთა ძირითადი ნაწილი ისტორიულად მდ. დონის გადაღმა, მის უკიდეგანო ველებზე მოსახლეობდა. გარევეულ ეტაპზე მათ ყოფას საფრთხე დაემუქრა, რადგან რუსეთის მთავრის ვლადიმირ მონომახის სამხედრო შენართებმა ყიფჩალთა შევიწროება დაიწყეს. ამის გამო აღნიშნული ხალხის ერთი ნაწილი მთავარ ოტროკის (ქართული წყაროებით ათრაქა შარალანისძის) მეთაურობით სამხრეთის მიმართულებით დაიძრა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობის მეზობელი გახდა. ნათელი შეიქნა, რომ ოსმებსა და ყიფჩალებს შორის მდგრ-

მარეობა მალე გართულდებოდა. ასეც მოხდა და სიტუაცია დაიძაბა. აი, სწორედ ამ მომენტით ისარგებლეს დავითმა და მისმა თანამიზრებელმა.

დავითი, როგორც ვთქვით, გადავიდა
ყინებალეთს, მათ ბელადს დაუმოყვრდა. ანუ
სიძედ გაუხდა, ზურგში დარჩენილ ოსებს
იმედები ჩაუსასა, მერე ორმოცი ათასზე
მეტი კარგი მებრძოლის გამოყვანი ოჯახ-
ები შეარჩია და საკართველოს გზას გაუყ-
ენა. იმ დროის მასპატაბებით ადამიანთა
ეს უზარმაზარი მასა დავითმა ქვეყნის სხ-
ვადასხვა კუთხეში დაასახლა, ამით ისინი
ერთგვარად გააპირა და ადგილობრივ მოსახ-
ლეობასთან ასიმილაციისათვის მოამზადა.
ყინებალთა ოჯახებს, როგორც წესი, ერთი
მოლაპერის გამოყვანა ევალებოდათ. ეს
იყო საკმაოდ მძლავრი სამხედრო ძალა,
რომელიც დავითის ადგილობრივ სამხედრო
ნაწილებთან ერთად ქვეყნის ძლიერების
ქაუკუთხედს ჰქმნიდა. სწორედ ამის მეოხ-
ებით შეიქმნა მუდმივი ქართული ჯარი და
შესაბამისად ქვეყნის ხელისუფალი სრული-
ად დამოუკიდებელი გახდა ფერდალური
განკერძოებულიბისათვის დამახასიათე-
ბელი გავლენებისაგან.

საგულისხმოა, რომ დავითისა და მისი
წინაპრების მცდელობას, გავლენა მოე-
პოვებათ ჩრდილოეთ კავკასიაზე, გაგრ-
ძელება მომდევნო ეტაპზეც მოჰყენა და მას
არანა კლები მასშტაბები ჰქონდა. მთლი-
ანად XII საუკუნისათვის საქართველოს
კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა
დღევანდველ ჩეჩენთ-ინგუშეთთან (მაშ-
ინდელი ქართული წყაროების მიხედვით
ალნიშნული ხალხი მოიხსენიება, როგორც
ძურძული და კავკასიანი). ასევე, დალ-
ესტნის ხალხებთან (ჯიქინ-ქშაგნი). გან-
საკუთრებულ როლს ამ ურთიერთობაში
თამაშობდა აფხაზეთი, რადგან აქაური და
იქაური ხალხები თავს გამოკვეთილ ნათე-
სავებად მიიჩნევდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ აქ მოტ-
ანილი თურდაც მწირი ფაქტები თავის მწიშ-
ვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიონის
გადაღმა და გადმოღმა დასახლებული ხალხ-
ების კულტურულ დაახლოებაში. საქართ-
ველოს მხრიდან მთის მიმართულებით
განხორციელებული ქმედებების შეოხებით,
რომელსაც წინ გარესტიანების მომენტი

უძღვიდა, მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში
ფართოდ შეაღნია ქართულმა კულტურამ -
ენამ, დამზირლობამ, არქიტექტურულმა თე-
მებმა, მითოსურმა სამყარომ, ფოლკლორშა
და ა.შ.

ჩევნი გამოკვლეულისათვის სასანტერესო
პერიოდში ერთგვარად სხვა ვითარება
ჩამოყალიბდა თვით ცენტრალურ ან
სამხრეთ კავკასიაში. უკვე ითქვა, რომ და-
ვითის მეფიბის წინარე პერიოდში სამხრეთ-
აღმოსავლეთი მხრიდან ქვეყანა მოოხრდა
თურქ-სელჩუკთა გაუთავებელი შემოსევე-
ბით. ამას მოჰყევა და დაემატა ბიზანტიის
იმპერიის მიერ კავკასიაში, სამხრეთში განს-
ორციელებული ქმედებები, რომლის მე-
ოხებითაც ქვეყანამ სახელმწიფობრივბა
დაკარგა. საგულისსხმოა ისიც, რომ ბიზან-
ტიილებმა სომები მოსახლეობის უდიდესი
ნაწილი აყარეს და იმპერიის სხვადასხვა
რეგიონში ჩაასახლეს. ეს ყველაფერი კი
იმით დასრულდა, რომ სელჩუკებმა იოლად
დაიპყრეს სომხეთი და შექმნეს რამდენიმე,
მათ შორის დვინის, ანისისა და შაჰ-არმენე-
ბის საამიროები.

1068 ნლიდან სომხეთ-საქართველოს
მიმართულებით განხორციელებული სამხ-
ედრო-პოლიტიკური ავანტიურები იგეგმე-
ბოდა და ინტენსუა ქალაქ განძადან. დავოთ
აღმაშენებლი კარგად ხედავდა, რომ სომხ-
ეთის ფეხზე წამოყენების გარეშე სამხრეთის
მხრიდან მორლეველი ზღუდის გამოთლიანე-
ბა გაჭრდებოდა. ამიტომ, მას მერე, რაც
არსებითად გადაწყვიტა საქართველოდან
თურქ-სელჩუკთა განდევნის პრობლემა,
1118 წელს სომხეთისკენ შეპრუნდა, აიღო
ლორქ და საქართველოს დაუკავებდე-
ბარა ტაშირ-ძორაკერტის სამეფო. 1124
წელს კი გაათავისუფლა შირაკის სამეფოს
დედაქალაქი ანისი და ისიც საქართველოს
შემოუკრთა.

საგულისხმოა, რომ დავითმა სცადა
საქართველოსა და სომხეთის ეკლესიათა
გაერთიანება, თუმცა საბოლოო ჯამში ამის
მოგვარება არ მოხერხდა. მიუხედავად ამ
ფაქტისა, სომხური და ქართული ოპლიტი-
კურ-ეკონომიკური ურთიერთობები მაინც
კეთილმეზობლური დარჩა და ასე გაგრძელ-
და კავაკასიში მონაცემების გამოწენამდე.

საქართველოს სამეცო კარს ყურადღება
არც აღმოსავლეთის მიმართულივით, კირ-

ძოდ, შირვანის სამეფოსთვის მოკულია. დავით აღმაშენებელმა ჯერ შევიდობიანი მეთოდებით ურთიერთობა სცადა. მან საკუთარი ასული თამარი შირვანშაპის მეტვიღრეზეც კი დაქორნინა, თუმცა დაგეგმილ შედეგს ვერ მიაღწია და ამის გამო აქტიურ სამხედრო მოქმედებზე გადავიდა. მან რომდენჯერმე დალაშქრა შირვანი, თავის მოხარედ აქცია ეს ქვეყანა. ციხე-ქალაქებში საკუთარი გარნიზონები ჩააყენა. 1124 წლისათვის დავითის მოლაშქრებმა დარუბანდის კარსაც უწინეს და ამით მთელს კავკასიაში ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური სივრცე შექმნეს. ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, კულტურული სივრცეების თანაარსებობასაც გულისხმობდა და შესაბამის შედეგებზე იყო გათვლილი. გაძლიერდა საქარავნო-სატრანზიტო გზების მნიშვნელობა. ვოლგისა და დონის აუზის ქვეყნებამდე უნია თბილისიდან, განჯადან თუ დარუბანდიდან წამოსულმა აბრეშუმმა, ხალიჩებმა, ნეოსაცხებლებმა... ჩრდილო-ეთიდნაც დაიძრა ბენევული, სამხრეთის ნაკადებით წამოვიდა ირანული და ჩინური ჭურჭელი, მთელი დატვირთვით ამოქმედდა „აბრეშუმმს დიდი გზა“, რითაც ჩინეთი საქართველოზე გავლით დაუკავშირდა შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხებს, ცენტრალურ კავკასიონზე გადამავალ გზებს, ბიზანტიასა და რომეს.

მიუქედავად იმ გარემოებებისა, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის, განსაკუთრებით კი დავით მეოთხე აღმაშენებლისა და თამარის მეფობის ხანაში საფუძველჩაყრილი დიდი ტრადიციები დროდადრო ფერხდებოდა, მან თავისი მარირენტირებელი მნიშვნელობა ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის შექმნაში მაინც შეძლო. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველომ XVII საუკუნის დასასრულამდე მაინც უზრუნველყო „აბრეშუმის დიდი გზის“ ფუნქციის შენარჩუნება და იმ დიდი ეკონომიკური თუ კულტურული გაცვლა-გამოცვლის პროცე-

სის წინსვლა, რომელიც ხალხებს, ერებსა
და ეთნოსებს აახლოებდა.
სწორედ ეს გარემოება, ბევრ სხვა ფაქ-
ტორთან ერთად, არის მიზეზი ერთიანი კუკა-
სიური ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა...

გრავო, მარ!



ბლების ნორჩ მსახიობ - მოცეკვავეებს

საქართველოს ქორეოგრაფიის მოლ-





ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას
მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ხალხური ცეკვა, ეს არის იმპროვიზებული სანახაობა, რომლის დამდგმელი, შემსრულებელი და მაყურებელი თვით ხალხია. იგი თვითმყოფადია, ხალხის ყოფაში შექმნილი და განვითარებული. ცეკვაში იხსნება ხალხის სული, წარმოჩნდება წეს-ჩვეულებები. ამ აზრით, იგი ერთგვარი მატიანეა ცალკეული ხალხის ცხოვრებისა. ცეკვაში გამოიხსება გრძნობები, ემოციები, ისტორიული წარსული და გეოგრაფიული პირობებიც კი, ამიტომაა, რომ ხალხური ცეკვები ერთმანეთს არ ჰეთა. რამდენი ცეკვაცაა, იმდენი ხასიათია, განცდაა, სხვადასხვაგარი აღქმაა.

როდესაც ეს გრანატიონზული მასალა სკენურ სახეს იქნის, აქ უკვე უდიდესი როლი ენიჭება დამდგმელ ქორეოგრაფს და ხელოვან პროფესიონალთა გუნდს, რომელიც ერთად, შეთანხმებულად მუშაობენ და ქმნიან ხელოვნების ნიმუშს - ცეკვას. მათი თანამშრომლობით იხვენება და ზუსტდება ილეთები, ისნი იქნის ახლებურ იერ-სახეს, ზოგჯერ ჩნდება სიახლეებიც. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რადგან ცეკვა ხალხის წიაღიდან წარმოიშვა, არავის აქვს უფლება, ცოდვილის ხელით შე-

ପାରତୁଳିର ଅକ୍ଷୟା ଗ୍ରଦନ୍ଧବାତା ସହିତିରି

ეხოს მას და ისეთი ელემენტები შესძინოს, რაც თავისთავად მიუღებელი იქნებოდა ამ ხალხის ისტორიისათვის, მენტალიტეტისა და წეს-ჩვეულებისათვის. შეიძლება მეტად დაიხვეწოს მელოდია, გარკვეული ილეოთა ბი, მაგრამ საწყისი ცეკვისა უნდა დარჩეს ამოსავალ წერტილად.

დღეს რომ ქართული ქორეოგრაფია
ფეხზე დგას, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქო-
რეოგრაფების დამსახურებაა. უფროსმათ
თაობამ ქორეოგრაფებისა, თავის მხრებზე
აიღო ეს უდიდესი ტკირთი და, ყველაფრის
მიუხედავად, კვლავც გადასცა მომავალ
თაობებს, ქართული ცეკვის ლაზათი, სული,
ქართული დარბაისლობა და კდემამოსილე
ბაც.

აბლათ საჭირო და დროულია სახელმწიფო ორგანიზაციის მეტად იზრუნოს ქართული სულის გადასარჩევად, იგი მეტად ამოუღეს მხარში იმ ადამიანებს, ვისაც ქართული ცეკვის ქორეოგრაფები ჰქვიათ. ახლა, როგორც არს-დონს, ასე გვჭირდება, გვახსოვდეს: – ვინაურ და საიდან მოვლივართ...

ქართული ცეკვა სულის შეურულობა
ბაა, ცამდე ამაღლებაა... იგი გრძნობათა
სკივრია. დაე, გვაოცებდეს მუდამ, გვასვებდეს,
გვამაყდებდეს, რომ ვართ ქართველინი,
მაგრამ ყოველივე ამას სახელისუფლებო
ინსტანციების გვერდში დგომა და დაფინანსება
ესაჭიროება. ქართული ქორეოგრადუი
ფია მარტო სახელმწიფო ანსამბლები არ
არის. უმაღლერობას ვერ გამოიჩინთ და
მადლიერებას გამოვხატავთ სახელმწიფოს
მიმართ დიდი ანსამბლების ფინანსური მხ-
არდაჭერისათვის, მაგრამ, კიდევ ვიმეო-
რებთ, საქართველოს ქორეოგრადუი მარტო
სახელმწიფო და მუნიციპალური ანსამბლები
პი არ არის, მას ფესვები აქვს, რომელსაც

სახელმწიფოსგან წყლის პკურება, მორჩყვა უნდა, თორემ ფესვი თუ გახმა, არც ტანი შეგვრჩიბა და არც თავი.

თუკი სახელმწიფო ცურად იღებს ჩვენს
ხვეწნა-მუდარას, საბავშვო ქორეოგრაფიის
დაფინანსებასთან დაკავშირებით, მაშინ
ალარ ვიქტორი ქორეოგრაფები დამოკიდებ-
ულნი მშპბლის შემონაბრულობაზე და კვლავ
გავსება ცეკვის შესწავლის მსურველთა
კონტიგრნტით დარბაზები, კვლავ დაფრ-
თიანდებიან ულამაზესი გოგონები და ვა-
ჟები, რომელთა შორისაც გამოვლინდებიან
განსაკუთრებულად ნიჭიერი, რომლებიც
შეავსებენ სახელნიფო აკადემიურ ანსამბ-
ლებს. და კვლავ იქტებს ქართული ცეკვა
მსოფლიო არენაზე, გამოჩნდებიან ვარსკვ-
ლავები, რამეთუ გენი, ჯიში, რასა თავისი
სიტყვას იტყვის. ასეთი წარმტაცი საცეკვაო
ხელოვნება, როგორიც ქართული ცეკვაა, იშ-
ვითა მთელს მსოფლიოში. განა ახალს ვამ-
ბობთ რამეს, ეს აზრი მუსიკებს მსოფლიო
საზოგადოებაში, სადაც კი ფეხი დაუდგამს
ჩვენს სახელგანთქმულ ანსამბლებს თავი-
სი სწორუპოვარი შემსრულებლებით. 21-ე
საუკუნეში, ჩვენდა საუბედუროდ, ერთსას
და იმავე საკითხზე გვიჩევს საუბარი. სხვა
ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრება წინ მიი-
ნევს, ჩვენი ცხოვრება კი დგას და არ იძ-
ვრის. ვბრუნავთ, როგორც ციფვი წრეზე და
სხვა საშეკრი არ არის. ცურავინ მოიცალა
ხელისუფლებიდან ხელოვნებისთვის, ადამი-
ანთა სოციალური პირობების გაუმჯობესე-
ბისთვის. ასე მგრინა, იმისთვის გაცალცე-
ლებენ, მათი ლობის ქვეშ მყოფი ბანკები და
ბანკირები გავამდიდროთ, რათა მსუე ღუკა-
მა მათაც შეხვდეთ. აპა, დააკვირდით იმათ,
ვისაც არავითარი დამატებითი შემოსავალი
არ გააჩნიათ, იმ მნირი ხელფასებითა და

ენსიებით როგორ გაწვდებიან ამ აუხტირ ცხოვრებას, თუ არა საბანეო სესხებით და შემძეგ ყველაფრის გაყიდვით, რათა ბანეეს პროცენტები გადაიხადონ. ცეკვის სწავლების მსურველთა რაოდენობის კატასტროფული შემცირება გამოიწვევს მოქმედ ქრეოგრაფ-ჰედაგოგთა უმუშევრობას. თუკი სადმე, რომელიმე ქირეოგრაფიულ ანსამბლს შემორჩა მუსიკოს-აკომპანიატორები, ავტომატურად ისინიც უმუშევრები დარჩებიან, რაც, ჩემი აზრით, სახელმწიფოს არ უნდა აწყობდეს თუნდაც იმიტომ, რომ უმუშევრარი პოტენციურად პროტესტანტია და იგი არსებული ხელისუფლებისა და სისტემის მოწინააღმდეგა. ქართული ცეკვის მიმართ, განსაკუთრებით საბავშვო ქირეოგრაფიის მიმართ, სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ინდიციერენტული დამოკიდებულება ავნებს და არ არგბს საქმეს, ცეკვის სწავლების მსურველთა კლება გამოიწვევს ინდივიდ მოცეკვავთა გაქრობას, რაც კატასტროფა იქნება ქართული ცეკვისათვის. აღარ გვყოლებან მხედიები, სულაბერიძეები, ფოჩიანები, დოლაბერიძეები, ჭანიშვილები, ბერაძეები, თევზაძეები, ჯიქურები, ხოზაშვილები, გოგინავები, პაპიაშვილები, ჩაჩავები და ბევრი და ბევრი, რომლებმაც კვალი დატოვეს, როგორც ინდივიდმა შემსრულებლებმა. მაპატიონ, ვანც გამომრჩა, ყველას თაბახის ცურცელი ვერც დაიტევს. ძნელია ცხოვრება, როცა გრძნობ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ნუ დატოვებთ უიმედოდ, მიხედეთ ქართულ საბავშვო ქირეოგრაფიას.

კავშირის თავმჯდომარის მოადგილე,
ქორეოგრაფი
ი. ტორაპც

საით ეგიპტები ქართულ ენოვნებ შემოიხადა?

დასაცყისი იხ. ნინა ბოგრძი

Ծարծարուսյլուա յարտուղլո յնօսաձմօ
դամոյցուցելովը էց. ոյնք զոնմը ճան-
բերը սցես, րամծցնի աხալու շրկուրո և-
տիպցա թըմոցուգա եխարցեամո ամ շյանասյնըլո
ատո նոն լուս յանմացլոնամո. ապրուրո Շեո-
ւլցեա Յույատ, ասետո „Ինքը ըզենցուա“
յարտուղլ յնաս տացուս եանցրծլուզո և-
տրուրուս յանմացլոնամո, լուսագու, ար-
սուցը յանցուցուա. եռմ ար նոնացւ յս մինս
հացոնեցա յարտուղլուտացուս, րոմ մատո
յնա իմարինցնուլո յնաս, րաջացն մաս արա
յշչը սութիպցեա մի սոսածլուցեուս յամոսաե-
ագուգ, րոմուլցեու ամշամագ լոյնուցուս և ճա-
պերունոցը սոյցրոնո մոմգոնարցուն. եռմ
ար ցոյցնենցեան ամուտ: ճացմեր տյացեն
քրոմիւցուլ-պագրուարյալուրո յնա և օմ
յնաս յինարցե, րոմելմու պայլա յս սո-
ւլցա ոյնքեա.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“-ო, თქვა
თავის დროზე გრიგოლ ორბელიანმა. დიდ-
მა იღიამ კი იგივე აზრი ასე გამოხატა:
„მტერობა ენის, არის მტერობა ქვეყნის“.

ებში სისასტოკეს, ძალადობას, ნარკომანიას გაუწევდა პროპაგანდას და რაც ხელს შეუშლიდა ბავშვებსა და ახალგაზრდებში ჯანსაღი მორალის ჩამოყალიბებას და არა მარტო უბრალოდ ეკრანალებათ, არამედ ისჯება კითა/კ კნონით.

ცალე საუბრის თემაა ენის დაინ-ნდურება-დანაგვანება ახალი, ქუჩური ჟარგონებითა და ბილნისტყვაობით, რაც ერთ-ერთი გამოხატულებაა ეროვნული ცნობიერების გადაგვარებისა. ენის ასეთი დაბინძურება ხდება არა მარტო ქეჩის ბიჭების მიერ, არამედ მწერლების, დრამატურგების, რეჟისორების მიერაც. დღეს დედის განება (ან დედაზე დაგინძნა), რომელსაც ადრე ქუჩაში თუ იშვიათად მოჰკვრავდა ადამიანი ყურს და მაშინაც უსიამოვნო შეურულებას გამოიწვევდა მასში, დღეს სპექტაკლებიდან ესმით შეილებთან და შეილებიდან ერთად მისულ დედ-მამას და ბებია-ბაბუსა და უხ-ერხულ მდგომარეობაში აყენებს მათ.

ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ
მიმართულ ქმედებათა შორის ერთ-ერთია
ნაირ-ნაირი სექტების გავრცელებას
საქართველოში. იგი ქართული ეროვნული
ცნობიერების წინაღმდეგ მიმართულ
ქმედებად იმიტომ ალიქმება, რომ საუკუნეების
განმავლობაში ქართველობა და
ქრისტიანობა დაუცილებელი იყო ერთ-
მანეთისაგან და ლამის იდენტურ ცნებებსა
ნარმიალი იწონინ.

რჩება, რომ თავისი რელიგიური ტოლ-
ერანტობით საქეცყნოდ ცნობილ ქართვე-
ლებს ეთაკილებათ და ერცხვინებათ,
დაუპირისპირდნენ მათ, ვინც მათ წი-
ნააღმდევ თავგამოდებით იბრძვის.

კითარებაა. კოძუისტების 70-ხლიანბა
ბატონობამ და ათეიზმის მძვინვარებამ,
ადამიანთა დიდი ნაწილი დააშორა რნ-
მენასა და ეკლესიას. ის ვითარება, რომ
ბოლო ოცნლეულში საგრძნობლად გაიზ-
არდა მორჩმუნეთა რიცხვი, არ ნიშნავს,
რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობა
მტკიცედ არის ფესვადგმული ჩვენი. ამ-
იტომ, ახლა იმის მოთხოვნა, რომ მშვიდად
ფუცქიროთ, როგორ გვიცვიან სახლებში
სხვა კონფესიის წარმომადგენლები და
როგორ გვაჩერებენ ძალით არამართლმა-
დიდებლურ ლიტერატურას, ეს საკუთარი
მეობის წინააღმდეგ მიმართული ქმედე-
ბაა.

ცხადია, მართლმადიდებლური რწმენის
დაცვას რომ მოვითიხოვ სხვათა ექსპანსი-
ისაგან, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას,
რომ რამენაირად მომზონს და ვემსრო-
ბი ბრძოლის იმ ხერხებსა და მეთოდებს,
რომელსაც ზოგიერთი სამღვდელო პირი
იყენებს ჩვენში. მაგრამ იმასაც კარგად
ვაცნობიერებ: სახელმწიფო რომ სათანა-
დოდ იცავდეს ქრისტიანობას, მაშინ კერ-
ძო პირისაგან (სასულიერო იქნება იგი

თუ საერო) მისი დაცვა აღარ გახდებოდა
საჭირო.

აი, ასე თანმიმდევრულად და
ყოველმხრივ მიდის ბრძოლა ქართული
ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ.
ალენ დალასის პროგრამში იმაზეც არის
მსჯელობა, რომ გაგრძელდება ბრძოლა
ადამიანების გასარყენლად და დაინტება
იგი ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან.
განსაკუთრებული ყურადღება გამახვილ-
დება ახალგაზრდებზე, მათი მოქრთამვისა
ო და ასტრიდის მიზნით.

და გახორხის ძინით.
განა სესხებისა და კრედიტების სიხარ-
ბით შეიძლება უარი ვთქვათ ისეთ თავ-
მოყვარეობაზე, ეროვნული ღირსების
გრძნობაზე და საკუთარი ხალხი ისეთ
ხალხად გამოვაცხადოთ, რომელსაც
თავის მმობლიურ ენაზეც კი არა აქვს
დაუბრკოლებლად აზროვნების, გამა-
რთულად მეტყველებისა და წერის კულ-
ტორების!

რა არის ამ მდგომარეობიდან გამოსავალი? ცხადია, თვითიზოლაციის გზა ყოვლად უვარგისი გზაა. დღევანდელ ვითარებაში ჩვენი ერთადერთი ხსნა ის არის, რომ მეტი გონიერება გამოვიჩინოთ და საკუთარი ქვეყნის სიყვარული დავაყენოთ ყველა სხვა ღირებულებაზე მაღლა, ჩვენ თავად არ გამოვიჩინოთ ინიციატივა ეროვნული ცნობიერების, ეროვნული მენტალიტეტის, ეროვნული კულტურის ნერევის საქმეში, ჩვენ თვითონ არ ვთქვათ უარი ჩვენს ქართველობაზე, ან, როგორც ამბობენ, არ გავხდეთ რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკები!

რეზო გალანტივაძე

ქართულ-ათხაზური და ქართულ-ოსური ქორეოგრაფიული ურთიერთობები – ისცოტია და თანამედროვეობა

შესახებ ერთობობის ურთიერთობის, ეროვნული სარეალი და ეროვნული გამოსახვის ურჩევა

ცეკვა, როგორც ადამიანის საქმიანობის სფერო, კაცთა მოდგმის წარმოშობა-განვითარების ისტორიული პროცესის თანადროული მოვლენა.

განვითარების უძარეს ეტაპზე, სანამ ადამიანის მოვლენათა ესთეტიკური თვალ-საზრისით აღქმა-შეფასების ჩვევები გამოუმუშავდებოდა, იგი საცეკვაო პლასტიკის ელემენტებს იყენებდა, როგორც საკომუნიკაციო საშუალებას. ადამიანები მათი დახმარებით გადასცემდნენ კონკრეტულ ინფორმაციას, აგვარებდნენ ნადირობა-შემგროვებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, გეგმავდნენ და ანხორციელებდნენ საპროლო მოქმედებებს, ატარებდნენ რიტუალებს.

გავიდა დღი და მას შემდეგ, რაც პლასტიკის ენა დანანერებულმა მეტყველებამ შეცვალა, საცეკვაო ელემენტები ჯერ მთლიანად რელიგიური რიტუალის საკუთრება გახდა, მერე კი სასცენო სახილველის ფუნქციით დაიტვირთა. მიუხედავად ამისა, განვითარებს ამ ეტაპზე საცეკვის პლასტიკმ შეინარჩუნა ის უძველესი საკომუნიკაციო და სხვა მსათან დაკავშირებული ელემენტები, შეიძინა ახალი ფუნქციებიც და ასე თანადათანობით იქცა ხელოვნების ისეთ სრულფასოვან დარგად, რომელსაც ბეჭინერება და სიხარული მოაქვს სხვადასხვა კონტინენტების, სხვადასხვა ეროვნების ნარმომადგენელი და ასევე განსხვავებული კონსერვის მიმდევარი ადამიანებისათვის. ამიტომაც ამბობენ, რომ ხელოვნება, საზოგადოდ და მათ შორის, ცეკვა აახლოებს ადამიანებს, ანიჭებს დიდ ესთეტიკურ სიამოგრძებას, უქმნის პერსპექტივის შეგრძნებას...

თანამედროვე სასცენო ცეკვა, თავისი მრავალფეროვნებით ფოლკლორული ძირებიდანაა ამოზრდილი და დღემდე მისითვე საზრდოობს. ამასთან, დიდ სცენას თავისი მოთხოვნილებები, თავისი სპეციფიკური

კანონები გააჩნია, რაც ნელ-ნელა, მაგრამ დიუინებით ზემოქმედებს ტრადიციულ საცეკვაო კულტურაზე, სახეს უცვლის მას და ხშირ შემთხვევაში აუფერულებს კიდევაც მის ძირძველ სახეს.

ეს გარდაუცალი პროცესია, თუმცა გარკვეულინდად მისი შედეგების შერბილება მანც შესაძლებელია, იქ სადაც საზოგადოება, სახელმწიფო სპეციალურად ზრუნავს ფოლკლორული ხელოვნების შესანარჩუნებლად და გადასარჩენად.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ კავკასიის რეგიონი მთელს მსოფლიოში მაღალი საცეკვაო კულტურის ტრადიციულ მხარედ ითვლება. აქ ფოლკლორული საცეკვაო ხელოვნების ტრადიციები, მართლაც, ძლიერია, რაშიც გარკვეული როლი იმ გარემოებამ ითამაშა, რომ კავკასიის რეგიონში გვიან პერიოდამდე არ შეიცვალა ცხოვრების პატრიარქალური ნესები, რის გამოც თავისი ცხოვრებულყოფელი ძალა შეინარჩუნა ტრადიციებიმა, ოჯახის კულტმა, უფროს-უმცროსობის წესმა და ა.შ.

სწორედ აღნიშვნული გარემოების გათვალისწინებით გახდა შესაძლებელი ევროკავშირის, გაეროსა და COBERM-ის ფარგლებში სპეციალური ქორეოგრაფიული ფესტივალის როგონიზება დევიზით: „მშვიდობანი კავკასია“.

ფესტივალმა და მისი პროგრამით განსაზღვრულმა ღონისძიებებმა უკვე მოტანა დადებოთი შედეგები. მან ხელი შეუწყობის დაახლოებას, პოლიტიკური დაბაბულობის ველის შემცირებასა და მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის საკითხების უფრო მეტი სილრმით გააზრებას.

ოლეგ ალავიძე
პროფესორი,
პროექტის დირექტორი



გზა ნათელი ფესტივალ —
„მშვიდობით კავკასიას“!

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირის სახელით აღვნიშვავთ, რომ საერთაშორისო ფესტივალმა „მშვიდობითი კავკასია“, რომლის დასაკვითით ტური გაიმართა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ტრაბზონში, წარმატებით ჩაიარა.

ხელვნება, მათ შორის საცეკვაო ხელვნება, ყოველთვის ხელს უწყიბდა და დღესაც ეხმარება მშვიდობითი კარგმოს ჩამოყალბებს, სამოქალაქო საზოგადოების წინსულასა და განვითარებას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში დაგეგმილი ანალოგიური ღონისძიებიც სწორედ აღნიშვნული სულისკვეთებით ჩაიიფლის.

პატივისცემით —
ლაუზი (რეზო) შანიშვილი
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი



პრეზენტაცია

2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი აუზში ელ. ახვლედანის სახელმწიფო სამუშავოში გამოიჩინა საზოგადოების ბავშვთა სურათების გალერეის საგამოიფნო დარბაზში გამართულ აუზში, ქართულ-აზერბაზურ, ქართულ-ოსური ქორეოკულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მორიგი ღონისძიება – კომანქაზდისკების პრეზენტაცია, ფოლკლორმასალების გამოფენა და საჯარო დისკუსია.

სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ უძველეს აგტორების ეთნოსებს შორის განვითარებული და დღიური ადგენდა და დღიური ასახული და დღიური გამოცემა ამიტომაც ამბობენ, რომ ხელოვნება, საზოგადოდ და მათ შორის, ცეკვა აახლოებს ადამიანებს, ანიჭებს დიდ და დღიური ესთეტიკურ სიამოგრძებას, უქმნის პერსპექტივის შეგრძნებას...

თანამედროვე სასცენო ცეკვა, თავისი მრავალფეროვნებით ფოლკლორული ძირებიდანაა ამოზრდილი და დღემდე მისითვე საზრდოობს. ამასთან, დიდ სცენას თავისი მოთხოვნილებები, თავისი სპეციფიკური



ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ქორეოგრაფიული ურთიერთობი — ისფორტია და თანამედროვეობა

სახელმიწიო ღისკები ქახთუ, ივერიული და თუშები ცეკვები



ამ ახლო წლებში აჭარის ტელევიზიამ ფრიად საინტერესო, ვიტყოდით, საშეილომვილო გადაცემებით მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

ხელოვნების მოყვარულნი, ფართო საზოგადოება, გზადაგზა ეცნობოდა ცალკეული ქართული ცეკვის გენეზისის, მისი ისტორიული განვითარების, საუკუნეობით შემონახული ტრადიციული ნიშან-თვისებების გამორჩეულობას.

ამ მხრივ, გულითადი წამოწყებებით წარმოჩნდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **ინგა ხალვაშვილი**. ეს დაუდალავი სულისვეთების ახალგაზრდა და მეცნიერი ამჟამად მუშაობს ბათუმის

ლი ქორეოგრაფიის თეორეტიკოსები, ასევე პრაქტიკოსი ქორეოგრაფები.

უნდა ითქვას, რომ მათგან ქართული ცეკვის მოყვარულნი საინტერესო მონათხრობებს ისმენენ. აზრთა სხვადასხვაობა მკაფიო წარმოდგენებს გვიქმნის „განდაგანი“-ს, „ხორუმი“-ს, „ლაზური მებადურული“-ს უძველეს და დღევანდელ სახეობათა შესახებ.

გარდა აქ აღნიშნული ცეკვებისა, სატელევიზიო გადაცემებში აისახა მრავალგვარი ქართული საცეკვაო ფერხულები.

დარწმუნებული ვართ, რომ ტელემაყურებლებზე საუცხოო შთაბეჭდილებას მოახდენდა აფხაზური და ოსური ცეკვების სატელევიზიო განხილვები.

ცეკვის მცოდნებმა კარგად თქვეს იმაზე, რომ წარსულ წლებში ქართველების, ოსი და აფხაზი ხალხების ურთიერთპატივისცემამ ხალხური სცენური ქორეოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შესარულა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თხოვნა გულითან მიიტანეს აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობამ, პირადად სოსო სატურუამ, ტელეურნალისტმა ინგა ხალგაშმა, ტელეოპერატორმა თამაზ შენირულმა. ასე რომ, ქართული ქორეოგრაფიის კავშირში უკვე გვეგულება სპეციალურ დისკებზე გადატანილი ჩანაწერები ზემოთ ჩამოთ-



ვლილი ცეკვების შესახებ, რაც უდიდესი ისტორიული მონაპოვარია ქართული ქორეოგრაფიის მომავლისათვის.

ზაურ ლაზიშვილი



ხელოვნებათმცოდნეობის უნივერსიტეტში და საფუძვლიანი თეორიული ცოდნით აღონიერებს ახალგაზრდობას.

აჭარის ტელევიზიაში წარმატებულად მუშაობის გამოცდილებაც ბევრად წაადგა. აგრე უკვე რვა წელია ქართულ ცეკვებზე აქცენტის სატელევიზიო მასალებს, სასაუბროდ გამოჰყავს ეროვნული ქორეოგრაფიის დამსახურებული მოღვაწენი, აცოცხლებს პროფესიონალური და თეორიოქმედი კოლექტივების შემოქმედებით მონაპოვრებს.

საცოდნელია, რომ თავისი გადაცემებისათვის შეურჩევია სახელი „სცენა“. სატელევიზიო სცენდან ჩვენ უკვე ვისილეთ აჭარული ხალხური სცენური სატრიფიალო ცეკვა „განდაგანი“, რომლის მხატვრულ-ესთეტიკურ მნიშვნელობაზე ტელეერანიდან გვესაუბრებიან ქართუ-



Old recordings:

- 1. Adzharian Folk Dance Ensemble - Georgia
- 2. Adzharian Song and Dance State Ensemble - Georgia
- 3. Adzharian Wedding
- 4. Adzharian Song and Dance State Ensemble - Georgia
- 5. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 6. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 7. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 8. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 9. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 10. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 11. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 12. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 13. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 14. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 15. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 16. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 17. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 18. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 19. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 20. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 21. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 22. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 23. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 24. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 25. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 26. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 27. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 28. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 29. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 30. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 31. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 32. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 33. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 34. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 35. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 36. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
- 37. Adzharian Wedding - Adzharian - Tbilisi (Soviet) - Tbilisi, 1970
